# სამშობლო

წ. I 1915 წ.

ოთხშაბათი 18 მარტი

ფასი: წლიურათ 8 მ., ნახევარი წლით 5 მ., თვიურათ 4 აბ. ცალკე ნუმერი ერთი შაური. დამატებით 7 კაპ. წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 3 მ., დანარჩენი კი ყოველ ნაწილნაწილათ. განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 20 კაპ., უკან 15 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა თითოჯერ ნაშუადღევის 2 საათ. ღირს 3 მ. 2 საათს შემდეგ 4 მან.

№ 38 ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 38


„სამშობლო დედის ძუძუი, არ გაიცვლების სხვაზედა,
ორივ ტკბილია ძმობილო, მირჩევნის ორსავ თვალზედა,
როგორც უფალი, სამშობლოც ერთია ქვეყანაზედა".


ამიერიდან ქ. ქუთაისში გამოდის ახალი საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი.

„სამშობლო"

ყოველკვირეული სურათებიანი დამატებით

გაზეთი ღირს:

ერთი წლით 8 მანეთი, ნახევარ წლით 5 მან. ერთი თვით—ოთხი აბაზი.
ცალკე ნუმერი ერთი შაური, დამატებიანი—7 კ.
ადრესით. ქუთაისი, რედაქცია „სამშობლო".

ვსთხოვთ ომში დაჭრილთა და მოკლულთა ნათესავ-მეგობრებს მოგვაწოდონ მათი სურათები.

რედაქტორი ი. თ. ცინცაძე.


მიხეილ დიანოსის ძე სვანიშვილი ღრმეს მადლობას სწირავს ყველა იმ პირთ, რომელთაც პირადათ, წერილობით თუ დეპეშით თანაგრძნობა გამოუცხადეს

მისი მეირფასი მეუღლის ქამიტოს

გარდაცვალებით გამოწვეულ მწუხარებაში.


უდიდესი სპეციალური წიგნის მაღაზია

კ. ი. ოცხელის და ამხ. ქუთაისში

ალექსანდრეს ქუჩა, თფილ. კომერც. ბანკის ქვეშ.

კ. ი. ოცხელისა და ამხ. წიგნის მაღაზიაში მოიპოვება ყოველ გვარი სახელმძღვანელო და საკითხავი წიგნი: ბელეტრისტული, პედაგოგიური, იურდიული, საბავშო და მრავალი სხვა. აგრეთვე კალენდრები 1915 წლის: ჯიბის, კედლის, იურიდიული, საექიმო და სხვა. ატლასები, თვალსაჩინო სურათები. გეოგრაფიული ქარტები, მათ შორის ომის ქარტები დაწყებული 6 მანეთიდან ვიდრე 3 შაურამდი

გვერდით გამართულია ცნობილი საკანცელარიო მაღაზია დ. ი. ოცხელისა, სადაც მოიპოვება ყველანაირი სამოსწავლო საკანცელარიო ნივთები.

— კატალოგები უფასოთ — თ.


ამით, ვაცხადებ, რომ ჩემი თხზულების მეორე ტომის გამოცემა სხვა და სხვა მიზეზის გამო შეჩერებულია. იმედი მაქვს ახლო მომავალში გამოცემას შევუდგები. აპოლონ ცინცაძისაგან გაცემული კვიტანციების პატრონები ჩემგან მიიღებენ წიგნს.

ია ეკალაძე.


ყოველი მეაბრეშუმესათვის ცნობილი ფირმის

ძმათა პასხალიდის

აბრეშუმის თესლი უკვე მიღებულია და იყიდება ქუთაისში ნიკიფორე მ. ჯანელიძის მაღაზიაში; ბათომსა და ჭიათურაში მ. ს. მანუილიდის კანტორაში და ახალსენაკში ილია იაკიმიდის მაღაზიაში ხელსაყრელ ფასათ. მსურველს შეუძლიან დაიკვეთოს რამდენიც სჭირდება დროზე. თ. 69.

# გაფრთხილება.

## საე. სახ. გოკიელოვის შ-ბი

ქუთაისში

ამით აუწყებს მეაბრეშუმე-მწარმოებლებს, რომ გაზეთებში გამოჩდა ცნობები შესახებ იმისა, რომ ზოგიერთი თესლის გამყიდველები სარგებლობენ არეული დროით და გამოაქვთ ბაზარზე ყალბი (ცუდი) თესლი და მას, რაც ფრიად სამწუხაროა ათასგვარი საშუალებით—სხვა და სხვა ცნობილი ფირმის თესლის სახელით ასაღებენ ხალხში. ამისათვის

ხ. ხრისტოდულიდის

გასული წლების მსგავსად წელსაც მიუცილებელ საჭიროდ ვცანით, რომ თესლის მყიდველნი მეაბრეშუმენი არ მოტყუვდენ და თავიდან აიცდინონ სიყალბე, გავაფრთხილოთ. დააკვირდით ჩვენს ფირმას. გარეთ კაროპკას აქვს იარლიკი ქართული წარწერით (თეთრ ქაღალდზე) და ასვია შტემპელი, აწერია „ს/ს. გოკიელოვის შ—ბი", შიგნით კაროპკაში თეთრ ბლონდიდან გაკეთებული პატარა ტოპსიკებზე, რომელშიაც კაკალი აზის. შტემპელი რუსულ-ქართული წარწერით „ხ. ხრისტოდულიდისის" და ს/ს გოკიელოვის შ—ბის", აქვე დასმულია ლურჯი ბეჭედი, რომლის სიმთელეს აუცილებლათ ყურადღება უნდა მიექცეს. მიაქციეთ ყურადღება,—რომ კარობკის ირგვლივ შემოვლებული სათანადო მთავრობის ბანდეროლი აუცილებლათ მთელი იყოს. თ.

# თესლის გაყიდვა გძელდება.

კბილის მენალარიშრილი და ტრუფაექიმები. ნოვა. დროებით ბათომიდან გადმოვიდენ ქ. ქუთაისში. თფილისის ქუჩა, სახლი ბახტაძისა, ფირალოვის თუთუნის ფაბრიკის გვერდში. ავათმყოფებს ღებულობენ დილის 9—1 და საღამოს 4—6. არჩენენ ავათმყოფობას კბილებისა და ღრძილებისას. აკეთებენ ხელოვნურ კბილებს: კაუჩუკზე, ოქროზე და ალუმინზე. ღრძილების ავათმყოფობას არჩენენ რამდენიმე სეანსზე ახალი საშუალებით. თ.

ექიმი გაბრიელ იოს. გოკიელის ელექტრონისა და სინათლის კაბინეტი. შინაგანი ნევრებისა და ვენერიულ ავათმყოფების მიღება დილის 9—12 საათ. საღ. 9—8 საათ. ალექსანდრეს ქუჩა, საკუთარი სახლი.

ექიმი ი. ჩარექოვი ქალაქის საავათმყოფოს ორდინატორი. განაახლა კანის, ვენერიულ და სიფილისიანი ავათმყოფების მიღება ახალ ბინაზე, დილით, 12—2 საათ. საღამ. 6—8 საათ. მისამართი: ლევაშოვის ქუჩა, ალბეგოვის სახლში. (თ.)

ბებია მ. მ. კოხრეიძე უცრის ყვავილს, უკეთებს ნემსებს, ეხმარება მშობიარეთ და აძლევს ავათმყოფთ რჩევადარიგებას ყოველ დროს.
ალექსანდროვის ქუჩა, სახლი თევდორაძისა, ფილიპოვის მაღაზიის პირდაპირ.

სტუდენტი ვარლამ ფერაძე (9 წლის პრაქტიკით) ვამზადებ და ვუსწორებ გაკვეთილებს ყველა კლასების მოწაფეებს ყველა საგანში. (სპეც.: რუსული, ლათინური, მათემატიკა და ფიზიკა). შემდგ. ჯგუფები სხვადასხვა კლასისათვის, აფთიაქის მოწაფეების, ჩინზე, სიმწიფ. მოწმობ. და სხვა.
მისამართი: ჭავჭავაძის ქუჩა, ციხის იქით, იკითხეთ ლეჟავას მაღაზიაში დევიძის სახლი. 14—4


# ომი

## აჭარის მთებში.

(საკუთარ კორესპონდენტისაგან).

II.

### ცხოვრება ბანაკში.

აჭარის წყალიდან ნამდვილი ბივუაკური ცხოვრება დაიწყო. ბანაკს კაცი მალე ეჩვევა, მალე შინაურდება. ცის კაბადონი და ტიტველი მიწა, თავქვეშ უნაგირი და ზედ ნაბადი და ცეცხლი—თუ კი პირობების მიხედვით შესაძლებელია—აი, მთელი სურათი ბინისა. ადრე ადგომა „სისხამ დილაზე", დარაჯობა დღისით და ღამით „პოსტებზე", ვარჯიშობა, მზვერაობა და ხანდახან სადარაჯოთ გზათ წასვლა ერთი მეორეს სცვლის.

რაც უფრო წინ მივდიოდით „ხაზი ცეცხლისა" და „პოზიცია" რეალური ხდებოდა, მაგრამ ბრძოლის ადგილი მაინც სხვაგან იდო. მაგრამ რაც უფრო შორს ხარ ამ ბრძოლის ადგილიდან, ფანტაზია მით უფრო მუშაობს.

ჩვენი მზვერავები სადღაც წავიდნენ. ეს დღე პირველი იყო მათის ზვერისა. სადღაც თოფი გავარდა. რა ამბავია? მტერი ხომ არ არის?! უფროსთან ჩქარა და მოხსენებაც მზათ არის:

— სადღაც მტრის სადარაჯო გამოჩნდა, იქნება მტერმა გაარღვია კიდეც ჩვენი წრე!

მიძინებულ და მიწყნარებულ ბანაკში განგაში ატყდა და მერე იცით რა არის განგაში ბანაკში? ადექ, ჩაიცვი, შეიარაღდი, შეიკაზმე, დამწკრივდი! და ყველაფერი ეს სასწრაფოთ უნდა მოხდეს. ჯარის ნაწილები ერთი ადგილიდან სხვაგან გადადიან. ბნელა, გზა არა სჩანს, იქნება წვიმაც არის—მაგრამ ეს არაფერია. უნდა მიხვიდე იქ, სადაც გაქვს ნაბრძანები.

თუ განგაში ნამდვილია, მაშინ კიდევ არაფერი, ხელად საქმე გაჩნდება. მაგრამ ხშირათ ჩიტი ბდღვნათ არა ღირს ხოლმე. ხშირად ხდება, რომ ვინმე „ჩვენგანმავე" ისროლა უცაბედათ. და ამისთანა შემთხვევები ზურგის ჯარში ხშირია.

მაგრამ სამსახურის გარდა ამ მთებში, ჯარს თავისი ყოველდღიური ცხოვრებაც აქვს. არის დრო, როცა ისვენებ. რომელიმე კარავთან რაზმელები თავს იყრიან. ვიღასაც დაფი მოაქვს, ვიღასაც ზურნა. დავლა ყველამ იცის და იმართება ლხინი.

ჩვენი რაზმები საქართველოს მინიატურაა. ვინ არ არის აქ? სვანი და ხევსური, ქართლელი და იმერელი, კახელი და გურული, მეგრელი და ჯავახი და ამ ლხინის დროს საოცრათ აშკარავდება, როგორც მსგავსება, ისე განსხვავება მათ შორის. სიდინჯე და სიმკვირცხლე ერთმანეთს ანელებენ. კილო, ლაპარაკი ერთმანეთში ირევა, ოხუნჯობა, დაუდევრობა, შეჯიბრება, სიმღერა, მეტადრე სიმღერა, რომელიც ამდენია საქართველოში, რომელიც ასე მრავალფეროვანია და იმავ დროს მსგავსი, ვით შვილნი ერთის დედ-მამისა.

ხალხის მასსა თავის სიტყვა პასუხში მუდამ მოსწრებულია. ვინმე ნამძინარევი რამეს იტყვის მოსწრებულსა და იბადება ეპიტეტი. აღმოსავლეთ და დასავლეთ ქართველები აქ, ბანაკში, რასაკვირველია ერთმანეთს ძმურათ შეხვდენ. მაგრამ ოხუნჯობამ თავისი გაიტანა და ერთმანეთი ეპიტეტებით დააჯილდოვეს.

— გამარჯობა გოჯასპირ!

— გაგიმარჯოს ამბაკო!

და იცით ვინ არიან ეს გოჯასპირი და ამბაკო?

გოჯასპირი—ეს კახელია, ქართლელი, ხევსური...

ამბაკო—იმერელი, მეგრელი, გურული...

მაგრამ გოჯასპირს და ამბაკოს ერთმანეთი მოსწონთ და ასეთი ეპიტეტები მხოლოდ აადვილებენ ერთის სახელწოდებით მრავალი პირის სიყვარულს.

შ. ამ—ბი.

# დეპეშები.

პეტროგრადის დეპ. სააგენტოსაგან.

**პეტროგრადი.** 15 მარტი. ოფიციალური. მთავარსარდლის შტაბისაგან. 14 მარტს, მდ. ნემანის დასავლეთით ბრძოლას შეხვედრითი ხასიათი ჰქონდა. ოსოვეცთან არტილერიის ცეცხლით სუსტი ბრძოლა იყო. მდ. შკვისა და ომულევის რაიონში ტარტაკისა, ვახისა და აზავადის ფრონტზე გერმანელების პოზიციების ასაღებათ შეუპოვარი ბრძოლა სწარმოებს დღე ღამის განმავლობაში ჩვენ 600 მეტი დავატყვევეთ, მათ შორის ხუთი აფიცერია, ხუთი ტყვიის მტყორცნელიც ვიხელთეთ. კარპატებზე, 13 მარტს, ჩვენი შეტევა განსაკუთრებით ბარტფელდის გზით ვითარდებოდა, სადაც ჩვენ სიმაღლეების ახალი ხაზი დავიჭირეთ, რაც დაახლოვებით 35 ვერ. სივრცის ფრონტს უდრის. ხიშტიანი ბრძოლის დროს, რომელიც 289 მეტ. სიმაღლის ასაღებათ სწარმოებდა, სოფელ მლინაროჩის აღმოსავლეთით ჩვენ ავსტრიელების სამი ბატალიონი გავანადგურეთ, მუნკაჩტრის გზით მტერმა იერიშების მთელი რიგი მოიტანა, მაგრამ მოგერებულ იქნა, მასთან შეეცადა ჩვენი თხრილები სახელდახელო ყუმბარებით ამოევსო, მაგრამ ვერაფერს გახდა.

**პეტროგრადი.** 15 მარტი. ზავისლიანის რაიონში მდგომარეობა უცვლელია. გალიციაში ამ დღეებში ჩვენი შეტევა სტრისისა და ბარტფელდის გზებს შორის თანდათან ვითარდებოდა. ბარტფელდის გზით, 11 მარტს, ჩვენ ერთი მეორეზე სოფლების მთელი რიგი დავიჭირეთ, თან ვატყვევებდით და სამხედრო დავლასაც ვბოჭავდით. ერთერთ რაიონში აღნიშნულია 17 აფიცერი და 1055 ტყვე ჯარის კაცი. 12 მარტს, ღამით მტრის წინააღმდეგობა შეუპოვარი იყო, რომელიც კურიმისა და სტროპკოს ფრონტზე მაგრდება. მთელ ფრონტზე გააფთრებული ბრძოლა იყო, რომლის დროსაც ჩვენი ჯარი ურას ძახილით და ჰიმნის სიმღერით წინ მიიწევდა, არ ერიდებოდა ათასნაირ დაბრკოლებებს და თან სიმაღლეს-სიმაღლეზე იჭერდა მთელი ღამის განმავლობაში ჩვენ 700 მეტი დავატყვევეთ. 12 მარტს, ჩვენი მამაცური შეტევის შემდეგ ზბოროს რაიონში იტრის ზოგმა ნაწილმა სამხრეთით დაიწია და ზოგმაც დასავლეთით. ზბორო იწვის, რომელსაც ავსტრიელებმა წაუკიდეს ცეცხლი. ხიშტიანი იერიშის შემდეგ ჩვენ ომოვნოს თხრილები დავიჭირეთ. მტრის ზარალი დიდია. ჩვენ მიერ აღებული თხრილები მტრის დახოცილ ჯარისკაცების გვამებით არის ამოვსებული. დღის განმავლობაში ჩვენ 21 აფიცერი და 1224 ჯარისკაცი დავატყვევეთ და ექვსი ტყვიისმტყორცნელი ვიხელთეთ. 10—11 მარტამდი ბრძოლის დროს ჩვენ დავატყვევეთ 47 აფიცერი და 2024 ჯარისკაცი, 6 ტყვიისმტყორცნელი, სამი ზარბაზანი და ერთი ყუმბარების მტყორცნელი ვიხელთეთ. ავითარებდა რა თავის წარმატებას, ჩვენმა ჯარმა, 13 მარტს, რეგეტი, ზემო ზბორო და ჩარნე დაიჭირა.

**პარიზი.** 15 მარტი. ოფიციალური. 11 მარტს საღამოს მთელ ფრონტზე დღემ მშვიდობიანათ ჩაიარა. მტერი უმოქმედოთ იყო. გერმანიის ჰაეროპლანი რომელიც ბადონვილერის ოლქში ყუმბარებს ყრიდა, ჩვენმა ჯარმა ძირს ჩამოაგდო. მფრინავი, აფიცერი და მზვერავი დავატყვევეთ.

**ბუქარესტი.** 14 მარტი გერმანიის აგენტები სულ იმის ცდაში არიან, რომ გორმე რუმინიის გზით ოსმალეთში საჭირო სამხედრო საგნები შეიტანონ, ამისთვის ქრთამავენ წვრილ მოხელეებს, რომლებმაც ყალბი საბუთებით უნდა იკისრონ აღნიშნული საგნების გაგზავნა. სამთა შეთანხმების წარმომადგენლები თვალყურს ადევნებენ გერმანიის აგენტებისა და რუმინიის მთავრობის მოქმედებას. რამდენიმე შემთხვევაში აღმოჩენილი იყო მეცადინეობა სამხედრო საგნების კონტრაბანდით გაგზავნის შესახებ.

**პარიზი.** 14 მარტი. ნიუ-იორკიდან მომავალი გემი "ნია გორა", რომელზედაც დაღუპულ გემის „ფლორიდას" ეკიპაჟი იყო, შერბურგის სიფართოვესგან შეხვდა გერმანიის წყალქვეშა მავალ ნავს, რომელმაც თავი დააღწია თავისი სისწრაფით.

**პარიზი.** 15 მარტი. საღამოს ცნობა. დღის განმავლობაში არავითარი ცვლილება არ მომხდარა. მდ. მაასის მარჯვენა ნაპირზე მარშვილთან ჩვენ დავკარგეთ გერმანელების თხრილების ის ნაწილი, რომელიც წარსულ შაბათს ავიღეთ. გარტმანსვეი—ლერკოფზე ჩვენი პოზიციები გავამაგრეთ. სიმაღლის აღების დროს ჩვენ დავატყვევეთ 6 აფიცერი, 24 უნტერ—აფიცერი, 354 უუნებელი ჯარის კაცი და რამდენიმე დაჭრილი.

**რომი.** 15 მარტი. დღეს შესდგა ეროვნულ კონგრესის სხდომა დღევანდელ

კონფლიკტში იტალიის ჩარევის შესახებ საკითხის გადასაწყვეტათ. კონგრესს დაესწრენ ტრენტინოს და ტრიესტის კავშირის წარმომადგენლები, დანტელი გვერის საზოგადოების წარმომადგენლები და პარლამენტის მოღვაწე პირები, გარიბალდიელლები. კონგრესმა მოითხოვა, რომ იტალიის მთავრობამ ეროვნულ მისწრაფებათა განხორციელებას შეუწყოს ხელი, რათა იტალიის დიდება და საზღვრები ხელში იარაღით იყოს გაფართოებული. უსურვეს გამარჯვება იმ გარიბალდიელებს, რომლებიც დღეს არგონებზე იბრძვიან.

### დასავლეთის ასპარეზი.

**ბუქარესტი.** 15 მარტი. ტრანსილვანიელ რუმინელების მიტინგი გაიმართა. თავჯდომარეობდა მინდერკსი, რომელმაც განაცხადა, რომ რუმინელების უმცირესობას უნდა მთელი რუმინელების ნაციონალური ტენდენცია სულ სხვა კალაპოტში მოაქციოს, მასთან დაბეჯითებით თხოულობს ბესარაბიისა და დუნაის შესართავის დაბრუნებას. ამით უნდა რუმინიასა და რუსეთს შორის შექმნას ახალი ელზას ლოტარინგია, საზოგადოებას სლავიანებით აშინებს, რომ რუმინელები უფრო მომეტებულათ დაამონავოს. ავსტრო-ჰუნგრეთში ტრანსილვანიელი რუმინელები, სთქვა მინდრესკუმ,—სიკვდილს უფრო ირჩევენ, ვიდრე ასეთ პ-რობებში სიცოცხლესაო. პოლიციამ მანიფესტაციების გამართვის წინააღმდეგ ზომები მიიღო. გერმანიისა და ავსტრიის საელჩოს დაწესებულების შენობას ჯარი იცავდა. პერემიშლის დაცემამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა, რამაც რუმინიის გამოსვლის შესახებ აგიტაცია გამოიწვია. პოლიტიკურ წრეებში ფონდერგოლცს მოელიან, რომელსაც მიზნათ აქვს რუმინიის უმაღლესი მოღვაწენი დაარწმუნოს ნეიტრალიტეტის დაცვის საჭიროებაში, რითაც გერმანიას შეძლებას მისცემს ოსმალეთში სამხედრო სურსათი შეიტანოს. მეფის დეკრეტით აკრძალულია სამხედრო სამზადისის შესახებ ხმების გავრცელება. იმავე დეკრეტით საფონდო ბირჟის მოქმედება თიბათვის 17-დი არის გადადებული.

**ბუქარესტი.** 15 მარტი. პროფესორ მინდრესკუს მეთაურობით და თავმჯდომარეობით მრავალ რიცხოვანი მიტინგი გაიმართა. მიტინგის შემდეგ მეფეს ასეთი დეპეშა გაუგზავნეს, „ჩვენი სურვ ლია ერთს დროშის ქვეშ შევერთდეთ. ჩვენი ეს სურვილი იმდენათ დიდია, რომთუ არ აგვისრულდა, ჩვენ სიკვდილს უდრის. $4^{1}/_{2}$ მილ. რუმინელების სახელით მოგმართავთ დიდის თხოვნითა და მუდარით გამოსცეთ ბრძანება რუმინიის გამოსვლის შესახებ, რათა რუმინია ერთხელ და სამუდამოთ უცხო სახელმწიფოთა ულლიდან განთავისუფლდეს. მეორე დეპეშა მინისტრ-პრეზიდ. ბრატიანუს გაუგზავნეს, რომელშიაც ნათქვამია: გთხოვთ რაც შეიძლება დააჩქაროთ ჩვენი ძმების განთავისუფლება, ვიდრე სულ განადგურებულები იქნებიან. თქვენი მამა რუმინიის დამაარსებელი იყო და თქვენ კიდევ დიდი რუმინიის დამაარსებელი გახდითო.

**პეტროგრადი.** 16 მარტი. (დასასრული) მინაში, ნამდვილათ, ორი წყალქვეშა მავალი ნავი და ღუპა. გერმანელების წყალქვეშ მოქმედების მარცხი მით უფრო საყურადღებოა, რომ რუსის ფლოტმა ამ დროს თავის მოქმედებისთვის რაიონი მოაწყო. ბალტიის ზღვის ჩრდილოეთით, მტრის ნაპირებთან, თავის მოქმედებას აჭიათარებდა. უკანასკნელი მოქმედების გამოქვეყნება ჯერ არ შეიძლება, თუმცა მტრისთვის საზარალო იყო, ჩრდილო ნაპირების გასწვრივ, მტერმა სამხედრო ბარგის რამდენიმე ტრანსპორტი დაკარგა. საზოგადოთ, ამ დროს განავლობაში, რუსის ფლოტი მტრის შესამხვედრათ გამაგრდა იმ რაიონში, რომელშიც მტერს უნდოდა გამაგრება, შეიძინა საომარი გამოცდილება, თუ როგორ გაილაშქროს ახალ ტეხნიკურ საშუალებების წინააღმდეგ.

**პეტროგრადი.** 16 მარტი. ოფიციალური. კავკასიის ჯარის შტაბისაგან. 14 მარტს, ჰოროხის ხეობაში ჩვენმა ჯარმა ართვინის რაიონში ოსმალები შეავიწროვა და მდ ტურკის მარცხენა ნაპირს ცეცხლი წაუკიდა. დანარჩენ ადგილებში ჩვენმა ჯარმა თავისი მოვალეობა წმინდათ შეასრულა.

## ჟურნალ-გაზეთებიდან.

### პერემიშლის აღების გამო.

**პეტროგრადი.** პერემიშლის აღების დროს ჯარის ნადავლი აუარებელია. სხვათა შორის, ჩვენ ხელთ ვიგდეთ 500 ვაგონი, 4 ორთქლმავალი და 25,000 ფუთი ნახშირი.

—

**კიევი.** ტყვე ავსტრიელთა სიტყვით პერემიშლის აღების წინ დღით ციხიდან აფრინდა 30 მდე აეროპლანი, ამ აეროპლანებში ისხდენ ოფიცრები და ერთი გენერალი, რომელთაც ფრანც-იოსებს პერემიშლის დანებების ამბავი შეატყობინეს.

პერემიშლის მცხოვრებლები იუწყებიან, რომ დანებებამდის ორი თვის წინათ ქალაქში შიმშილობა დაიწყოო; ხალხი ცხენის ხორცით იკვებებოდაო. ჯარში უკმაყოფილება თანდათან იზრდებოდა, გენერლები და ოფიცრები ჯარს არწმუნებდენ ჩვენს გამოსახსნელათ კარპატის მთებით აურაცხელი ჯარი მოდისო.

**კიევი.** ავსტრიელები პერემიშლიდან ჯერ ლვოვში იქნებიან გამოგზავნილი და შემდეგ გაგზავნილ იქნებიან ჩრდილო-რუსეთის სხვადასხვა ქალაქებში. კიევში მალე ჩამოვა ექვსი მატარებელი სამხედრო დავლით დატვირთული.

### საზღვარგარეთელი პრესის აზრი პერემიშლის აღების გამო.

**ინგლისი.** ინგლისის გაზეთები ერთხმად ულოცავენ რუსის ჯარს პერემიშლის აღებას. პერემიშლის აღებას ინგლისში დიდ მნიშვნელობას აწერენ.

გაზეთი „დეილი ქრონიკლი“ სწერს „პერემიშლის აღებას დიდი მნიშვნელობა აქვს, ამ დიდი ციხის აღების შემდეგ, რუსეთის ბრწყინვალე ჯარს გზა ეხსნება, როგორც კრაკოვსა და სილეზიისკენ, ისე უნგრეთისაკენ“-ო.

გაზეთი „დეილი ტელეგრაფი სამხედრო მიმომხილველი სწერს: „პერემიშლის აღებას დიდი მორალური მნიშვნელობა აქვს, დარწმუნებული იყავით, ავსტრიის ჯარი სულიერათ დაეცა და რუსეთის ბრწყინვალე ჯარმა კი ამ გამარჯვებით დიდი ღირსება მოიპოვა“-ო.

„დეილი ნეი“-ში შემდეგი მოკლე ცნობაა მოთავსებული: „ავსტრია-გერმანიის ჯარს, რომელიც თავგანწირვით იბრძოდა მდინარე სანთან, ეხლა ფეხ ქვეშ საფუძველი გამოეცალაო.

### საფრანგეთი.

**პარიზი.** გაზეთი „ტაიმსი“ ფრანგების სახელით ულოცავს თავის მეგობარ სახელმწიფოს ერს ბრწყინვალე გამარჯვებას პერემიშლთან და შემდეგს სწერს:

ავსტრო ჰუნგრეთის მონარქიამ პერემიშლის დანებების შემდეგ სრულიათ დაკარგა გალიცია და რუსის ჯარს კი კრაკოვისაკენ გზა გაუხსნაო.“

### იტალია.

**რომი.** იტალიაში დარწმუნებული არიან, რომ პერემიშლის დაცემა პოლიტიკას გამოსცვლისო.

### სერბია.

**ნიში.** პერემიშლის აღებამ აქ დიდი ალტაცება გამოიწვია.

საერთო მხიარულებაა, ქალაქი ბაირაღებით მორთულია.

ერთმა ცნობილმა პირმა სთქვა, რუმინიამ თვისი გამოსვლის დრო უკვე დაკარგაო.

### ჩერნოგორია.

**ცეტინიე.** მოვიდა თუ არა აქ ამბავი პერემიშლის აღების შესახებ, მემკვიდრე დანილა გაემართა გენერალ პოტაპოვთან. შეხვედრის დროს მემკვიდრე გენერალს გადაეხვია და მიულოცა პერემიშლის აღება. მაშინვე გაგზავნილ იქნა პეტროგრამში მილოცვის დეპეშა.

### ბულგარეთი.

**სოფია.** პერემიშლის აღებამ აქ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. რუსოფილების ალტაცებას საზღვარი არა აქვს.

### რუმინია.

**ბუქარესტი.** პერემიშლის ამბავი აქ შუადღის 3 საათზე მოვიდა. ხალხი ყველგან ალტაცებულია, ქალაქი ბაირაღებით მორთულია. დარდანელის შესახებ ამ დღეს, თითქმის არაფერი უთქვამთ.

—

სატახტო გაზეთებს ატყობინებენ, რომ იტალიამ აკრძალა გერმანიაში ყოველგვარ სურსათის გაგზანაო.

—

„ბირჟ. ვედ.“ ატყობინებენ ბუქარესტიდან, რომ გერმანიის მისსიამ დიდი ალტაცება გამოიწვია იტალიაშიო.

ბულგარეთისა და იტალიის შეთანხმება რუმინიისთვის სრულიად მოულოდნელი იყოვო.

### ბულგარეთი.

კაბინეტის გამოცვლა აუცილებელია. ბულგარეთის გამოსვლას ეხლა ხალხი ეჭვის თვალით აღარ უყურებს. ფიქრობენ, პირველათ ბულგარეთი ოსმალეთისაკენ გაილაშქრებსო.

## განხეთქილება სოციალისტთა შორის.

ამასწინათ სოციალისტების მიერ ლონდონში გამართულ კონფერენციის გამო დიდი უთანხმოება ჩამოვარდა ყველა ქვეყნების სოციალისტთა შორის. ხსენებული კონფერენცია, როგორც მისი რეზოლიუციებიდან ჩანს, აგრე წოდებულ „რეფორმისტ სოციალისტების კონფერენცია აღმოჩნდა, ამიტომ მის წინააღმდეგ ორტოდოქსები“ სასტიკათ ამხედრდენ, ამ გარემოებამ თავის მხრივ მწვავე პოლემიკა გამოიწვია „რეფორმისტთაგან“ და ამნაირათ გაჩაღდა დიდათ მნიშვნელოვანი, საკაცობრიო ისტორიული იდეიური ბრძოლა, რომლის შედეგზედაც, შეიძლება ითქვას, დამოკიდებულია კულტურული კაცობრიობის სოციალური განვითარების ტემპი.

ამ ბრძოლას რამდენიმეთ მაინც გვიხასიათებს ქვემოთ მოყვანილი ინგლისელ სოციალისტის, გაინდმანის წერილი, რომელიც მას საფრანგეთის ცნობილ დემოკრატისთვის, გეორგი კლემანსოსათვის მიუწერია.

„მე მგონიაო, სწერს გაინდმანი, დიდი ბრიტანიის სოციალისტების პოზიციაზე დღემდი დიდი გაუგებრობა სუფევს და მასთან სამწუხაროთ იმასაც ვხედავ რომ თქვენი ჟურნალის თვალსაზრისიც ამ საგნის შესახებ დიდათ შემცდარია. მე ვფიქრობ, რომ შეიძლებოდეს და მთელი ბრიტანიის სოციალისტების, მათ შორის „ფაბიანისტების“ საზოგადოების წევრების ხმის მიცემით აზრის გაგება მოხერხდეს, აღმოჩნდებოდა, რომ დიდი უმრავლესობა გადასწყვეტდა: აუცილებლათ გაგრძელებულ იქნას სასტიკი ომი გერმანიის წინააღმდეგ იქამდე, ვიდრე ის სავსებით არ დამარცხდება და ვიდრე ზავის პირობები მოკავშირე სახელმწიფოების სურვილის თანახმათ არ შემუშავდება.

სხვა ნაირი აზრი კი ბრიტანიის სოციალისტების შესახებ საფრანგეთში მხოლოდ იქედან წარმოსდგა, რომ ამასწინათ ლონდონში გამართულ კონფერენციაზე გერმანიის მოკავშირე სოციალისტებმა: კეირ გარდიმ, რამსეი მაკდონალდმა, ანდერსონმა და გლაზიემ ნება მისცეს თავის თავს და წმინდა გერმანოფილური აზრები წარმოთქვეს, შოტლანდიელთა ეს გუნდი, რომელიც დიდი ხანია „დამოუკიდებელ მუშათა პარტიაში“ ბატონობს და თავის ნებაზე ატარებს მას, მომხრეა იმის, რომ რათაც უნდა დაჯდეს ზავი და მშვიდობიანობა მაინც ჩამოვარდეს. ამ პარტიას 20,000-ზე მეტი წევრი არა ყავს, მაშინ, როდესაც, გაზეთი „ჰუმანიტე“ ისე ლაპარაკობს მაკდონალდზე და კეირგარდზე, როგორც ინგლისის მუშათა კლასის წარმომადგენლებზე. ამაზე უფრო სასაცილო რწმუნება, მგონი, რომ მეორე არ მოიძებნება.

იმედია ნებას მომცემთ თქვენ, რომ მე, რომელიც ინგლისის უძველეს სოციალისტათ ვითვლები და რომელმაც 1881 წელს უდიდესი ენერგია გამოიჩინა ინგლისში სოციალისტური მოძრაობის გასაძლიერებლათ, საქმის ნამდვილი მდგომარეობა მოკლეთ დავახასიათო.

მცირე ოდენი ეჭვიც არ შეიძლება ვიქონიოთ იმაზე, რომ ბრიტანიის მუშათა კლასის დიდი უმრავლესობა ომის გაგრძელების მომხრეა, საპარლამენტო მუშათა პარტია მცირე ჯგუფის „პაციპისტების“ გარდა მომხრეა აგრეთვე ომის წარმოების. მარა ეს კიდევ არაფერი; საქმე ისაა, რომ იმ ორ მილიონიან ჯარში, რომელიც დღეს ბრძოლის ველზეა გასული ასიათასობით ითვლებიან მუშათა კლასიდან გამოსული ჯარის კაცები და მერე ისინიც არა უბრალო, შავი მუშები, არამედ ხელოსნები და ნამდვილი ტრედიუნიონისტები არიან.

ამხანად, მაგალითად, ერთ ჯარში 200 ათასამდე მარტო სამთამადნო მუშები ირიცხებიან, რომელთა ქირა, როცა ისინი ჯარში ეწერებოდენ, დღეში თვითეულის 10 ფრანკამდე (3 მ.) აღწევდა და სამუშაო ყველას საკმაო სქონდა.

ძალიან მინდა და კარგადაც მოიქცეოდენ, რომ ბატონნი მაკდონალდი, კეირგარდი და ანდერსონი ამ ხალხთან მივიდოდენ და შეეცდებოდენ, რომ მათ თვალში რამდენიმეთ მაინც ჩირქი ჩამოეცხონ იმ ჯალათებს, რომლებმაც ბელგიის და ჩრდილო საფრანგეთის მოქალაქეთა ცოლშვილის სისხლით ხელები შეილებეს.

მთამადნის მუშების გარდა სხვა პროფესიების მუშებიც ბევრი ჩაეწერენ ინგლისის მომქმედ ჯარში. აი ვინაა ბრიტანეთის მუშათა კლასის ჭეშმარიტი წარმომადგენლები და არა ის საცოდავი ერთი მუჭა ჯგუფი, რომელსაც ჩემმა მეგობრების…

## სასახელო სიკვდილი.

### (ვარლამ გელოვანის ხსოვნას).

საზარ სენით შეპყრობილი, რომ კვდებოდა იგი გრძნობდა,<br>
მაგრამ სულაც ამ უდროო თავის სიკვდილს არ ნანობდა,<br>
რადგან სწამდა, ღირსეულად მოიხადა თვისი ვალი<br>
და მშობელ ერს მოუმზადა უკეთესი მომავალი!

რა ვუყოთ, რომ არ ეხვივნენ გარს ამხანაგ-მეგობრები<br>
და უვლიდნენ, ისიც შიშით, მხოლოდ ვიღაც უცხოები?<br>
მაგიერად ერის რჩეულს თვით მშობელი მისი მხარე<br>
გვერდიდან არ შორდებოდა, მგლოვიარე და მწუხარე!

და ესმოდა: „შვილო, შვილო, ვინ შენ და ვინ ეს ბოლო,<br>
განა ამას მოელოდა შენგან შენი სამშობლოო?<br>
შენ არ იყავ აღმივსებდი სასოებით მუდამ გულსო,<br>
მანუგეშებ-მამხნევებდი უსამართლოდ დაჩაგრულსო?

შენ არ იყავ, რომ, პირველმა, აღამაღლე ჩემთვის ხმაო<br>
და თამამად აღიარე მთელი ჩემი გულის თქმაო?..<br>
მითხარ, ვინ-ღა დაასრულებს საქმეს, შენგან დაწყებულსო;<br>
შენ შემდეგ ვინ გაუხდება ხნე მოსარჩლედ შენს მამულსო?!.

და ამბობდა ის პასუხად: „ნუ, ნუ სწუხარ, გენაცვალე,—<br>
არა კმარა, რაც აქამდის იმწუხარე, ივალალე?..<br>
საომრად რომ ჯარი წავა, ზოგი რჩება, ზოგი კვდება,<br>
მაგრამ გლოვას ვინ დაიწყებს, თუ ერგო მას გამარჯვება?

ხომ იცი, მეც გავიმარჯვე,—შევასრულე ჩემი ვალი;<br>
ვემსხვერპლე და განვამტკიცე ამით შენი მომავალი!<br>
ათასობით ქართველ გმირთა წმინდა სისხლი, დღეს დაღვრილი,<br>
თვით სიცოცხლე ჩემი მოკლე და სიკვდილი.. ეს სიკვდილი<br>
თავმდებია,—საშინელი ეს ომი რომ გათავდება<br>
და მშვიდობა და სიმართლე ქვეყანაზე დამყარდება,<br>
თავისუფალ მხარეთ შორის თავისუფლად აყვავდება,<br>
ვით ღირსეულს ღირსი ჯილდო, საყვარელო, შენცა გხვდება!<br>
მაშ, რას სწუხარ?.. გაიხარე, რომ სრულდება, რაც გინდოდა!“.<br>
ამბობდა ის და თანდათან სუსტდებოდა.. და კვდებოდა...<br>
და, ვით გვირგვინს სახელოვან თვისს სიცოცხლის, საქართველოს<br>
უტოვებდა სანუგეშოდ ამ სიკვდილსა სასახელოს!..

**დუტუ მეგრელი.**

თებერვალი, 1915 წ. ქ. ერევანი.

* *<br>
*

ჩემს იესოს ჩრდილი ადგას,<br>
საფლავს ლოდი აფარია<br>
და კარიბჭე—შესავალი<br>
უკეთურ სულს აბარია!..

წინასწარ სთქვა, აღვსდგებიო!—<br>
ასრულდება—მწამს და მჯერა,<br>
შუქ-მოსილი ანგელოზი<br>
არ მოსულა მხოლოდ ჯერა!.

საფლავის მცველთ ზარდამცემათ<br>
მას მოველი მარტოოდენს<br>
და გულში ვზრდი იდუმალათ<br>
სააღდგომო გიხაროდენს!..

ტკბილი წუთის მომლოდინე<br>
გულით უცვლელ-შეუდრეკით<br>
მოძმეებს და გმირებს ვუხმობ<br>
სააღდგომო ზარის რეკით!..

და არც შევწყვეტ, ვიდრე საფლავს<br>
ლოდი ჩრდილათ აფარია<br>
და კარიბჭე—შესავალი<br>
უკეთურ სულს აბარია!..

**დ. თომაშვილი.**

## გოლგოთა.

ჯერ კიდევ არ დამწუხრებულიყო იერუსალიმში ქრისტეს დიდებულად შესვლის დღეს, რომ ხალხის სიხარული გაცივდა: აღარ მოხდა დავითის ძის გამეფება, განშიშვლებული მახვილი რომის ბატონობის წინააღმდეგ ქარქაშში ჩავგო, იესო ნაზარეველი კვლავ ზეციურ ჭეშმარიტების მქადაგებლად დარჩა, რის გამო მცველნი, მოტყუებულნი თავის მოლოდინში განშორდენ, გაეთიშნენ მას და დაემზადენ, ალბად, მისი მტრების ბანაკში გადასასვლელად. თვითონ ქრისტე კი, შემდეგ ახალი სასწაულების ქმნისა, შემდეგ გულქვა იუდეველთა წინამძღოლთა მხილებისა და მთელი დღის ქადაგებისა მრავალ ერის წინაშე, რომელიც მას გარსშემოსეოდა, თითქო მათთან მსწრაფლ განშორების მგრძნობელი, ღამ-ღამობით მიდიოდა ან მყუდრო ბეთანიას განსასვენებლად თვის ერთგულ მოყვარულ მეგობართა შორის, ანა და მშვენიერს ელეონს, სადაც უნდოდა ლოცვა-ვედრებაში გაემტკიცეია ბთავი თვისი.

მარიამმა, გულს მოდგინეობის სუნნელობანი, და სიყვარულის ცრემლები დააფრქვია მას ფეხებზე. მან არ იცოდა ისე განამზადა იგი „დასაფლველად“, მწიგნობრები და ფარისევლები საიდუმლოდ ბჭობდენ, იგონებდენ რაიმე საშვალებებს მის სამართალსა და სიკვდილს მისაცემად. ღარიბმა დედაკაცმა ჩასდვა თვისი გულის მოდგინეობით ნაყოფი, უკანასკნელი წვლილი ეკლესიის გვადრუცში და მით ქრისტესაგან სადიდებელი შეიქმნა; უსჯულო იუდამ კი რაღაც უბადრუკ ვერცხლში გაბრუებრულმა გასცა მოძღვარი და მით საუკუნო სატანჯველი გაიმზადა თვისი თავისთვის. გამოფოთლილი ლეღვის ნაყოფი მომშეულ მაცხოვრისთვის შეშურდა ბ მით შეიქნა მკაფიო გამომხატველი გარეგნულის ბრწყინვალებისა, ნიშანი იუდეველების სულიერის უნაყოფობისა და ისრაელის ზნეობრივი სიკვდილისა.

„უტომოების“ დღე დამწუხრდა და იერუსალიმს ბინდმა გადაჰკრა და ამ ბინდ-ბუნდის ჩადრში გახვეული ქრისტე მოციქულებით უსთქორებს (?) შევიდენ. გაშლილ ტაბლაზე მზათ იყო პასექის ტარიგი, რომელიც მრავალს წლის განმავლობაში მოასწავებდა მას, ვინც ამ ჟამად ემზადება უკანასკნელად მის გემოს ხილვას.

დაიწყო პასექის სერობა. ქრისტემ იცოდა, რომ მისი ამ ქვეყნად განშორების საათმა დაჰკრა; იცოდა, რომ ძველმა სიამპარტავნემ დაჰლუპა ეს ქვეყანა, ბოროტებაში მყოფი, ჰხედავდა ამპარტავნების ნაყოფს იუდეველების გაფეთრებულ ბოროტებაში, ესმოდა მისი სულისათვის საზიანო ჩურჩული აქაც კი, წმიდა საიდუმლოებაში, ბაგეთაგან მოწაფეებისა, რომელნიც ერთი მეორეს ეცილებოდენ: რომელი მათგანი უფრო მეტი იქნება; ამით იგინი დაპყრობილ იყვნენ უძლური გახრწნილი ადამიანის ბუნებას.

აი, ეს ძველი ამპარტავნება, რომელსაც ღრმად ჰქონდა გადგმული ფესვები ხალხში დაამხო მან თვისის უმაგალითო სითავმდაბლით. მდუმარემ მოიხსნა შესამოსი, შემოირტყა არდაგი ქედ-მოხრილმა მოძღვარმა დაჰბანა ფერხნი მოწაფეებს, გამცემელიც კი არ გამოუტოვებია. მყისვე დადუმდენ მოწაფეები პირველობაზე, განცვიფრებული მითი შეხედეს მოძღვარს, მათს მსახურს, ერთი სიტყვაც ველარ შეუბრუნეს, მხოლოდ ფიცხელი პეტრე, სხვაზე უფრო გამსჭვრეტელი, მაცხოვარს სიმშვიდით უარს ეუბნება ფეხის დაბანაზე. მაგრამ უფალმა შენიშნა: „უკეთუ არა დაგბანე შენ ფერხნი, არა გაქვს ნაწილი ჩემ შორისო“. პეტრე იმ წამსვე დამორჩილდა და ამ წმიდა მაგალითის თესლი მყისვე განაყოფიერდა მოციქულების გულში.

მღვდელმთავართა სასახლეებში უკვე

მა: ვანდერველდემ, ვალიანმა და სხვებმა ბევრი რამ დაუთმეს. ასეთი კომპრომისი, რა თქმა უნდა, მეტათ სამწუხარო მოვლენას წარმოადგენს, მით უფრო, რომ ის გარეშეს „იარაღის დაყრათ და ბრძოლაზე ხელის აღებათ მოეჩვენება“.

დ—ელი.

# ერთი დიდი ცუდი ჩვეულება.

ჩვენი საზოგადოების განათლებულ ნაწილს, ვაჭრებსა და წვრილ ინტელიგენციას, სხვათა შორის, ერთ დიდი და მეტად ცუდი ჩვეულება აქვს. ეს ნაწილი საზოგადოებისა სამშობლო ენის აბუჩათ აგდებას შკოლასა და სხვა დაწესებულებაში ვერ ურიგდება და ამ ნიადაგზე ნიანგის? ცრემლებსაც კი აფრქვევს, მაგრამ თვით კი ამ ენას საზოგადოებაში უპატივცემულოთ ეპყრობა. რუსული ლაპარაკი, რუსულათ დაბეჭდილი სადარბაზო ბარათები, რუსული კალენდრები, რუსული საბავშო ჟურნალი, სავაჭროებზე რუსული წარწერები და სხვა რაა ეს თუ არა სამშობლო ენის აბუჩათ აგდება, მისი უპატივცემულობა. ქართველი საზოგადო მოღვაწე მამულიშვილის სახელით ცნობილი ისე ენას ვერ მოაბრუნებს, თუ რუსული არ გამოურია. და ეს ვაჟბატონი ამის შემდეგ კიდევ გამოდის საზოგადოებაში და წუწუნობს ურცხვათ ქართული ენის უნუგეშო მდგომარეობაზე.

აკაკის დასაფლავებას დავესწარი. ცხედრის გარშემო ქართველი მწერლები და საზოგადო მოღვაწეები იყვნენ შეკრებილი. უდიდეს ქართველ მამულიშვილს ვასაფლავებდით და მეგონა ამ დღეს მაინც დავიცავდით წმინდა ქართველობას. სხვა რომ არ ყოფილიყო განსვენებულის პატივისცემა გვავალებდა ამას ასე მოვქცეულიყავით. ვერ წარმოიდგენ, მკითხველო, ჩემს გაკვირვებას, როდესაც დავინახე, რომ, თითქმის, ყველა პარუსკობდა. „დვინტეს გასპადა“,—„ზდეს ნემესტო ვამ“,—„იდიომტე გასპადა“, აი რა სიტყვები გაისმოდა მათგან. ქართველ კაცს ვასაფლავებდით, გარშემო სულ ქართველები ვეხვიეთ და ვისთვის რა საჭირო იყო ეს პარუსკობაა. ნუთუ მაშინაც არ უნდა გავიკურნოთ ამ მავნე სენისაგან, როდესაც ვიკრიბებით ისეთი ცხედრის წინაშე, როგორიც იყო აკაკი. აკაკის მწარე შოლტები მოპარუსკე ქართველების მიმართ რისთვის დავივიწყეთ!

მსხვილ ინტელიგენციას და საზოგადო მოღვაწეებს არ ეხერხებათ ქართულათ ლაპარაკი, რაც ძალიან დიდი სამწუხაროა. რაც შეეხება წვრილფეხა ინტელიგენციას და მოზარდ თაობას, იქ კი ავათმყოფობათ არის გადაქცეული. ლაპარაკობენ რუსულათ და უნდათ ამით თავი გამოიჩინონ და თავისი „განათლება“ ყველას დაანახონ. აი კიდევ მეორე მაგალითი:

ერთ-ერთ სოფელში მიცვალებულის საკურთხს დავესწარი. აქ თავი მოეყარათ ამ სოფლის, როგორც ნასწავლს, ისე უსწავლელ ხალხს. რკინის გზის ერთერთმა მოსამსახურემ დაიწყო ომის შესახებ ლაპარაკი და სულ რუსულათ. მერმეთ რუსული მაინც სცოდნოდა ამ დალოცვილს. ლაპარაკობდა დამტვრეულისა და დამახინჯებული რუსული ენით. რამდენჯერმე მისცეს შენიშვნა ქართულათ ილაპარაკე, ჩვენც რამე გაგვაგონეო, მაგრამ თქვენც არ მომიკვდეთ ამ ყმაწვილმა რუსულ ლაპარაკს თავი არ დაანება. პირიქით, უფრო გამედიდურდა და ამაყობდა იმით, რომ შემთხვევა მიეცა საზოგადოებისათვის ეჩვენებინა თავისი „განათლებულობა“. აი, ასეთი მახინჯი ტიპები თანდათან მრავლდებიან სოფელში და, თუ დროზე არ შევიდა მათში შეგნება, ქართულს ველარ გავიგონებთ აწ სოფელში. ყველას უნდა გავაგებინოთ, რომ რუსულათ ტიკტიკი და ისიც დამახინჯებულს, დამტვრეულ რუსულ ენაზე ვერაფერი შვილი განათლებაა და არც არაფერ სახელს არ წარმოადგენს. პირიქით, ასეთი ვაჟბატონები გონიერი ადამიანის თვალში თავის სახელს იმცირებენ და თავის გონებრივ უბადრუკობას ანახვებენ.

ქუთაისის მოსახლეობის მხრით წმინდა ქართული ქალაქია. აქ რუსების რიცხვი ორი პროცენტიც კი არ არის და რაც არის ისიც მოხელებია და არა მკვიდრი. მიუხედავათ ამისა, ქუთაისის ბაღის წინ ქვაფენილზე თუ გაივლით, იფიქრებთ, აქ რუსი მოსახლეობა ძალიან ბევრი ყოფილა. რუსულიი ტიკტიკი მოსწავლეებს და ნამეტურ მოსწავლე ქალებს ჩვეულებათ გადაექცათ, ტიკტიკობენ რუსულს, პარუსკობენ და ვისაც რუსული შემოაკლდება, ქართულს ჩაუხაჭაპურებს. სადაც სავალდებულოა რუსული ენის სწავლა იქაც გვყოფა და სადაც სავალდებულო არაა, იქ მაინც ვინ გვატანს ძალას, ბაღსა და ქვაფენილებზე ჯერ არავის გაუხდია სავალდებულოთ ეს ენა და უტკივარ თავს ჩვენ რისთვის ვტკივებთ.

საერთო ფერხულს არც ვაჭრები ჩამორჩენ და ქართულ ენას ისინიც უდიერათ ეპყრობიან. სხვას რომ თავი დავანებოთ მათი მიუტევებელი დანაშაულობაა სავაჭროებზე რუსულის წარწერები. ქართულსაც მიაწერენ, მაგრამ სადღაც მიკუნჩხულ ადგილას ერთ სტრიქონზე და მასაც მხოლოდ სახელსა და გვარს. კანონი არ გვიკრძალავს, რომ სავაჭროს ვრცელი ქართული წარწერა გავუკეთოთ და რუსული როგორც სავალდებულო ერთ პწკარზე დაბლა მოვათავსოთ.

ვაჭრების ამ ცუდმა ჩვეულებამ ნამეტურ მახინჯი ხასიათი მიიღო სოფლათ. ხშირათ ისეთ სოფელში, სადაც რუსული ერთმა პირმაც კი არ იცის, სავაჭროს რუსული, მაგრამ არა წმინდა რუსული, არამედ ქუჩურ ენაზე დაწერილი წარწერა ამშვენებს.

ბევრს ყოველივე ეს წვრილმანათ მიაჩნია და ამაზე ლაპარაკს ზედმეტათაც სთვლის. სცდებიან ისინი, სცდებიან, ვინაიდან, ქართულათ აზროვნებას, საზოგადოებაში ქართულათ ლაპარაკს, ქართულ გაზეთებს, ქართულ წიგნების კითხვას ქართული საზოგადოებრივი აზრის გავითარებაში დიდი მნიშვნელობა აქვს.

ამ მდგომარეობაზე ვწუწუნებთ, ვგოდებთ და ნებით თუ უნებლიეთ უარესს კი ჩავდივართ.

შევიგნოთ ეს მავნე ჩვეულება და ერთხელაც არის განვთავისუფლდეთ მისგან. რასაც ვლაპარაკობთ და რაზედაც დღემუდამ ნიანგის ცრემლებს ვაფრქვევთ, მას მეტი ყურადღებით მოვეპყრათ და რამდენათაც გარემოება ხელს გვიწყობს, იმდენათ მაინც ავასრულოთ ის ცხოვრებაში.

სიტყვა საქმეს უნდა ეთანხმებოდეს!

გ. ხიზნელი.

# სოფლის გულშემატკივრებს.

ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხეში გავრცელებულია სხვადასხვა გვარი მავნე ადათი—ჩვეულება. მხოლოდ მკვირცხლმა და ყველა საწინააღმდეგო საქმეში თავის მოძმეებზე მეტად დაინტერესებულმა გურიამ სცნო მათი მავნეობა და კიდეც გადააგდო ბევრი მათგანი.

ყველაზე უფრო მავნე ჩვეულებათ უნდა ჩავთვალოთ ტირილი, ქორწილი და დღეობა. ამათ რიცხვს ამ უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში მიემატა მათზე ბევრათ უფრო მავნე - დარბაზობა (ვიზიტი) აღდგომას და ახალ წელს.

დარბაზობა ყველაზე უფრო მოდონიერებულია იმერეთ-სამეგრელოშია.

საეჭვო არ არის,— ეს ჩვეულება ქალაქის გავლენით არის შეტანილი ჩვენს სოფლებში იმ სახით, როგორითაც არსებობს ის დღეს. მაზე ყოველწლიურად უკანასკნელ ღარიბ ოჯახს უმიზნოდ მიუდის არანაკლები 40—60 მანეთისა.

აი რაში მდგომარეობს დარბაზობა.

ახალ წელს ან აღდგომას ვინმე „ნუნუას“ მოყვარული მეზობლისას შედის, ულოცავს მას დღესასწაულს, რასაკვირველია, კარგად შეზარხოშდება და იქაურ მამაკაცებთან ერთად მეორე მეზობელთან მიდის. ამ რიგად თავს იყრის 20—30 კაცი ერთად და ასეთი მხიარული კამპანია განაგრძობს დარბაზობას თითქმის შუადამემდის. ასეა მეორე დღესაც. მომავალ აღდგომას დარბაზობა ასეთ დიდ სახეს ვერ მიიღებს, მაგრამ შესაძლებელია ბევრი გაჭირვებაში მყოფი ოჯახი შევიდეს უნებლიეთ ხარჯში. გასულ ახალ წელს დარბაზობაზე არავინ ფიქრობდა, ბევრი დაუპატიჟებელ სტუმრების დასახვედრათ არც კი დამზადებულა, მაგრამ ზოგი ვაჟბატონი ვერ შეაკავა ამან და ჩვენს სოფლებში ამ დღეს ხშირად ნახავდით შეზარხოშებულ სოფლელებს. ზოგიერთ სოფლელებს უნდოდათ მიემართათ ბოქაულისათვის, რომ მას გამოეცხადებია არვინ გადასულიყო სადარბაზოდ, მაგრამ ინიციატორის უყოლობის გამო სურვილს ვერ მიაღწიეს. ბ. ბოქაულმა ერთი თხოვნა უყურადღებოდაც დასტოვა.

თითქმის ყველა სოფელში ცხოვრობს სოფლის მასწავლებელი ან მღვდელი და ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ისინი შესაფერ რჩევადარიგებას არ დააკლებენ სოფლელებს, რომ ეს აღდგომასაც არ გამეორდეს. ეს უმეტესად მღვდლების საქმეა და იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ისინი ამ საქმეს არ გაექცევიან. ყველა სოფლის გულ შემატკივარს უნდა ახსოვდეს, რომ უმიზნოდ დასახარჯავი კაპეიკიც არ მოენახება ჩვენს სოფლებს და დარბაზობის ხარჯისაგან დახსნა ხომ დიდი სამსახური იქნება სოფლელებისათვის. ესენი დღეს და შემდეგშიც მადლობით მოიხსენებენ მათ, ვინც დღევანდელ ყოფაში მცხოვრებ სოფლელებს ხელს გაუწვდის.

ა. ფანცული.

# ახალი ამბავი.

**საზიზღარი საქმე.** შაბათს, 14 მარტს ნაშუადღევის 1 საათზე, ქალაქის ბაღთან, მეშვიდე კლასის მოწაფემ ერთ ყოვლად პატიოსან და ჰუმანიურ მასწავლებელს მოქმედებით შეურაცყოფა მიაყენა. იმ ამბავმა მთელი ქუთაისის საზოგადოება ააღელვა. გამხეცებული მოწაფის ამხანაგები ფიქრობენ ამ ინციდენტს ფართო ხასიათი მისცენ და დაჰგმონ თავიანთი წრის შემარცხვენელი. ჩვენც არ შეგვიძლია დუმილი ამის გამო და თავის დროზე ჩვენს აზრს გამოვსთქვამთ.

✦ ქუთაისის გუბერნიის თავად აზნაურთა წინამძღოლის თანამდებობის აღმასრულებელმა თავ. ი. დ. გელოვანმა მისი იმპერატორობითი უდიდებულესობის ხელმწიფე იმპერატორისაგან შემდეგი შინაარსის დეპეშა მიიღო:

„გულითად მადლობას ვუძღვნი ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურობას, რუსის ჯარის გამარჯვების გამო,—მილოცვისა და უქვეშევრდომლესს გრძნობათა გამოთქმისათვის“.

ნიკოლოზი.

✦ ეს დეპეშა პასუხი არის ქვემორე მოყვანილი დეპეშისა:

პეტროგრადს, „მის იმპერატორობითი უდიდებულესობას ხელმწიფე იმპერატორს.

✦ ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურობის წარმომადგენელნი შეკრებილნი გუბერნიის ყველა კუთხიდან, აღტაცებულნი რუსეთის ძლევა მოსილი ჯარის გამარჯვებით, რომელმაც დასცა პერემიშლი, აღავლენს ზეციერის მეუფის წინაშე გულმხურვალე ლოცვას, რათა რუსის ჯარს კვლავ მიენიჭოს ასეთი გამარჯვებანი. განართმობს თქვენით იმპერატორობითი უდიდებულესობის ფეხრთა ქვეშე უქვეშევრდომილესს გრძნობათა და გულმხურვალეთ გილოცავთ“.

✦ გუშინ, 17 მარტს, დილის მატარებლით ქუთაისში ჩამოვიდა ქ. სოხუმის რეალური სასწავლებლის ინსპექტორი ბ. ზახარიევი, რომელიც კავკასიის სასწავლო ოლქის მიერ დეპუტატათ დანიშნულია ქუთ. ქართულ გიმნაზიაში.

✦ როგორც თფილისიდან გვწერენ, ქუთაისის ქალაქს მოურავს ი. მ. ჩიქოვანს, ქუთაისის მუნიციპალური საქმეების მოსაწყობათ, ინჟენერ ქურდიანთან და ამხანაგობასთან, ნოტარიუსის წესით პირობა უკვე შეუკრავს.

✦ 28 მარტს, ქუთ. კლასიკურ გიმნაზიის დარბაზში გაიმართება საქველმოქმედო საღამო ორ განყოფილებად. საღამოს შემოსავლის ათი პროცენტი გადაიდება ომის სხვადასხვა საჭიროებისათვის. დანარჩენი კი—ხსენებული გიმნაზიის ღარიბ მოწაფეთა სასარგებლოთ.

✦ როგორც დ. ხაშურიდან გვწერენ, მთავრობას დაუკმაყოფილებია საზოგადოების შუამდგომლობა შესახებ ბოქაულის თანაშემწის ადგილის გაუქმებისა. ბოქაულის თანაშემწეს დღემდის ჯამაგირს თვით საზოგადოება აძლევდა.

✦ ქუთაისის სათავადაზნაურო გიმნაზიის მერვე კლასის მოწაფეებს პირველი გამოცდა რუსულ ენის წერაში დღეს, 18 თებერვალს ექნებათ. წერითი გამოცდები აღდგომამდის უნდა დასრულდეს. 89 კაცისაგან გამოცდის ნება მხოლოდ 76 მიეცა.

✦ ქუთაისის ქართულ გიმნაზიის მეექვსე კლასის მოწაფეებს დეპუტატის გამოცდები 19 მარტს დაეწყებათ.

✦ დღეს, 18 მარტს, ოლქის სასამართლო გაარჩევს ბეჟან კალანდაძის საქმეს, რომელსაც ასამართლებენ 1655 საკ. მუხლის მეორე ნაწილის ძალით.

✦ ამ დღეებში ოდიშიდან ჩამოვიდა რამდენიმე გლეხი, რომლებმაც გუბერნატორთან შუამდგომლობა აღძრეს, რომ მათ, როგორც მოუსავლობით დაზარალებულთ, დახმარება აღმოუჩინონ.

✦ როგორც ოკრიბიდან გვწერენ, წელს მოცავის ჩაის კარგი ფასი ჰქონია. ფუთი 15 მანეთად იყიდება. უწინ ასეთი ჩაი ძლივს 12 აბაზათ იყიდებოდა.

✦ გუშინ, ქუთ. გუბერნატორს წარუდგა ქართული გიმნაზიის დეპუტატათ დანიშნული ბ. ზახარიევი და ამავე გიმნაზიის გამგე ი. ი. ოცხელი.

✦ დღეს, საღამოთი გამოვა ყოველკვირეული ქუთათური ჟურნალი „განთიადის“ № 6, შემდეგი შინაარსით:

1. ვარლამ ლევანის ძე გელოვანი. 2. ია-ეკალაძე (ოცი წლის სალიტერატურო მოღვაწეობის გამო),—ხ—ლელისა. 3. ლექსი, დუტუ მეგრელისა. 4. სიტყვა, ბაბო მეჯღლიძის ასულისა. 5. ბრწყინვალე შომავლისკენ, მოთხრობა, ივ. ი—ანისა. 6. ბაბო, მოთხრობა, გ. ებრალიძისა. 7. ერობა და ჩვენი საზოგადოება, გ. თუმანიშვილისა. 8. კრიტიკა და ბიბლიოგრაფია, ხომლელისა. 9. მწირი, პოემა, დ. საქარელისა. 10. მწიგნობრობის თანამგზავრი, ისიდორე კვიცარიძისა. 11. ომის მატიანე.

# თათბირი აჭარლების შესახებ.

დაზარალებულ აჭარლების მდგომარეობის გამო 15 მარტს ... თათბირი მოხდა თფ. გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლის თანამდებობის აღმასრულებლის თ-დ მ. ა. სუმბათაშვილის თავმჯდომარეობით. თათბირმა დაავალა თ-დს სუმბათაშვილს, აღძრას შუამდგომლობა, რათა ნება დართონ, მოაწყოს ქართველმა ხალხმა ორგანიზაცია აჭარელთა დასახმარებლად. თათბირმა მიიღო მხედველობაში ის რომ მეფის მოადგილის თანაშემწემ გოფმეისტერმა პეტერსონმა „რუსკოე სლოვო“ ს განუცხადა, აჭარლები მოღალატენი არ არიან, მოღალატეობა ერთი-ორმა პირმა გასწიაო.

თ-დმა მ. ა. სუმბათაშვილმა, როგორც ომიანობისაგან დაზარალებულთა დამხმარე კავკასიის მთავარ კომიტეტისა და ერობათა კავშირის კავკასიის განყოფილების წევრმა, ქართულ საქველმოქმედო საზოგადოებას დაავალა, გამოიკვლიოს მდგომარეობა აჭარლებისა და მოხსენება დაამზადოს. მოხსენების შემდეგ თ-დი სუმბათაშვილი შუამდგომლობას აღძრავს ზემო-ხსენებულ კომიტეტისა და განყოფილების წინაშე, რათა აჭარელთა სასარგებლოდ ფული გადასდვან. „ს. ფ.“.

# თფ. გუბერნიის თავად-აზნაურ. საგანგებო კრება.

(სევასტოპოლის დეპეშის გამო).

კვირას, 15 მარტს, თფ. გუბერნიის თავად-აზნაურთა საგანგებო კრება მოხდა თფ. გუბ მარშლის თანამდ. აღმასრულებლის თ-დი მ. ა. სუმბათაშვილის თავმჯდომარეობით. თავმჯდომარის წინადადებით ფეხზე ადგომით პატივი სცა შემდეგ პირთა ხსოვნას: აკაკის, ვ. გელოვანისა თ-დ ნ. რ. ერისთავის, ნ. გ. ყაზბეგისა, თ-დ ე. დ. ქობულაშვილისა და იმათსა, რომლებმაც ბრძოლის ველზე თავი დასდეს.

ამის შემდეგ თავმჯდომარემ წაიკითხა თავად-აზნაურობის დეპუტატებისა და წინამძღოლების მოხსენება სევასტოპოლის დეპეშის გამო. მოხსენებაში დაწვრილებით აღწერილია დეპეშის გამოქვეყნების ამბავი და ის პროტესტი, რომელიც ქართველ ხალხში ამ დეპეშამ გამოიწვია. მოხსენებაში ნახსენებია ის თანაგრძნობა, რომელიც სატახტო და აქაურმა პრესამ გამოუცხადა ქართველ ხალხს. მოყვანილია აგრეთვე მეფის მოადგილის თანაშემწის გოფმეისტერის პეტერსონის საუბარი „რუსკოე სლოვო“-ს კორესპონდენტთან, რომელსაც უთხრა, რომ აჭარა მოღალატე არ არისო. მოხსენება ასე თავდება: „სევასტოპოლის დეპეშის ოფიციალურად განმარტების შემდეგ საჭირო აღარ არის პასუხის მიცემა იმ ფორმით, რომელიც წინად საჭირო იყო, მაგრამ სადეპუტატო საკრებულოს არ შეუძლიან არ გამოსთქვას სურვილი, რომ მომავალში ქართველ ხალხის პატიოსნებასა და კეთილ სახელს ფრთხილად ეპყრობოდენ და არა ხდიდენ მას უაზრო ცილისწამებისა და ინსინუაციების საგნად“.

კრებამ მოხსენება დაამტკიცა.

დასასრულ კრებამ დაადგინა, თავმჯდომარის საშუალებით მისალოცი დეპეშა გაუგზავნოს: მის უდიდებულესობას ხელმწიფე იმპერატორს, უმაღლეს მთავარსარდალს და მეფის მოადგილეს გრაფს ი. ი. ვორონცოვ-დაშკოვს.

მეფის მოადგილეს შემდეგის შინაარსის დეპეშა გაეგზავნა: „თფ. გუბერნიის ქართველი თავად-აზნაურობა, რომელიც შეიკრიბა საგანგებო კრებაზე, ულოცავს თქვენს ბრწყინვალებას პერემიშლის აღებას. ამ დიადმა სიხარულმა თავად-აზნაურობას მიანიჭა ზნეობრივი კმაყოფილება იმ ცილისწამებისაგან გამოწვეულ მწარე განცდის შემდეგ, რომელიც გაავრცელეს ქართველი ხალხის მტრებმა. თავად-აზნაურობას იმედი აქვს, რომ ასეთ ცილისწამებას ბოლო მოეღო თქვენის ბრწყინვალების ავტორიტეტულ დახმარების შეწევნობით“.

„ს. ფ.“

# სკოლა წარსულის ტყეში.

საუკეთესო პედაგოგთა სულის კვეთებას შეადგენს—დაახლოება სკოლისა ცხოვრებასთან, მათი ერთმანეთთან ურთიერთში შეკავშირება. სკოლა ცხოვრებისთვის გვინდა და არა ცხოვრება სკოლისთვის... დუხჭირ პირობებში ჩაყენებული სკოლა... განსაკუთრებით ქალაქებში, სულის შემხუ-

გადაწყვეტილ იყო ზეციური მოძღვრის მოკვლა, იგი კი თვალუწვდენელი ცის ზეწარ გადაფარებული, მშვიდათ მიდიოდა სუნნელოვან გეთსამანიას მოციქულების თანხლებით; ზე შთაგონებულ ფსალმუნებში უგალობდენ ქვეყნის შემომქმედს. ღამემ თანდათან მოიცვა სიბნელით არე-მარე, სასიკვდილო სევდა მაცხოვრის გულში გამეფდა; მან იცოდა, სანამ სინათლე გააშუქებდა ქვეყანას, ძე კაცისა მიეცემოდა ხელთა მტერთა მისათ. შეწყდა ხმა ტკბილი. შეძრწუნებულია სული ჩემით, აუწყებს ქრისტე თანამგზავრთ და თვის ვარამს, თვის სიდიადეს, თვის სიწმიდეს გარდაცემს უკანასკნელ ანდერძში. მასში იგი მამობრივი სინაზით უწოდებს მოწაფეებს „მეგობრათ, ძეთ“, ევედრება რათა უყვარდესთ ერთმანეთი.

შუაღამის მყუდროებაში მოისმა ფსალმუნთა გალობა, კუკუნაპეტში ოდნავ გაარჩევდი 12 კაცს. იგინი იყვნენ მაცხოვარი მეგობრებითურთ სიკვდილის წინ სევდას ამ ფსალმუნებში ლევდა და ნუგეშს ეძიებდა. გეთსამანიამ მგზავრთ დაუგო წინ მშვენიერი ლეიბები. მშვენიერი ელეონი, რომელიც მდუმარე მოწამეა იესოს სავედრებელ მოღვაწეობის, სიბნელეშია გახვეული. ღმერთ კაცს კვლავ სწყურია საშუალამეო ვედრება მამისადმი. გალობა მოსწყდა. დაადგერით აქა, ეუბნებოდა იგი, მე კი წავალ იქა და ვილოცავ და მხოლოდ სამი უფრო მგრძნობარე ერთგულნი თან წაიყვანა. სული ჩემი მწუხარე არს, იღვიძებდეთ ჩემთანა, ემუდარება იგი მათ, თვითონ კი განეშორა მათგან „ქვის სატყორცებელ ოდენ“ დაიდგა მუხლნი და ილოცვიდა...

ბაღის ბნელმა აჩრდილებმა დამალა ღმერთ-კაცი, ცის კიდურიდან ჰკიაფობდენ ვარსკვლავნი, გარშემო სუნნელებას ჰფენდა ხეები, მაგრამ არავინ კი არ იცოდა რა ხდებოდა ამ დროს მლოცველის უუწმინდეს სულის სიღრმეში, მის გამორჩეულნი მეგობრებიც დაღლილობისაგან ვერ მღვიძობდენ, ეძინათ.. მარტოდ-მარტო იგი ლოცულობდა.

ბევრ საუკუნეს გაუვლია, კიდევ ბევრს გაივლის კაცობრიობა, მაგრამ ისეთი სავედრებელი მსხვერპლი, როგორიც გეთსამანია იყო, იმან არ იცოდა, არ უნახავს, ვერც გაიგებს და ვერც დაინახავს.

ქვეყანას ეძინა, ქრისტე კი მისთვის ლოცულობდა. სასიკვდინე მწუხარება გულს უღადრავდა მას, ლოცვაში უნდოდა ეპოვა შვება, მომზადებულიყო სასუმლის ფიალის ბოლომდის გამოსაცლელად. კაცობრიობის ცოდვები ყველა ერთს აუწერელს ტვირთად დააწვა მხრებზე მლოცველს ღმერთ-კაცს...

ამ ლოცვის დროს ორჯელ ადგა, მივიდა მოწაფეებთან და, როდესაც მძინარე პოვა იგინი, მხოლოდ წყნარად უსაყვედურა მათ: ნუთუ ჟამსა ოდენ ერთს ვერ ძალგიძთ მღვიძარებად ჩემთანა?

ადამიანმა დასტოვა იგი მარტო, მაგრამ მამას არ დაუტოვებია, მოუვლინა მას ანგელოზი განსამხნევებლად და ღვაწლიც შესრულდა...

ღმერთ-კაცი ადგა ლოცვისაგან და მოემზადა თვისი უწმინდესი სისხლით განებანა კაცობრიობის ცოდვები, ჯვარს უნდა დაეფარა ცოდვის უფსკრული!..

კ. გძელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავი და ჯანის სისაღის შემასუსტებელი გარემოებანი მოწაფეს, ქალაქში მცხოვრებს, სწავლის ხალისს უკარგვენ... უდროოდ ხდის ავისმხედად (პესიმისტად). აწინდელი კაცობრიობა მიილტვის ქალაქისკენ. აქ ადამიანები ერთმანეთს ეკვრიან ისე, როგორც ცხვრები ფარეხში. ხშირად, ძლიერ ხშირად, გავა თვეები, მთელი წლები, ისინი ვერ ეღირსებიან თვისი ფილტვის, სისხლისა და ტვინის გამოცოცხლებას ამწვანებული ტყის მჟავბადის მეოხებით. ძველად, როდესაც ხალხი აგრე რიგად ქალაქს არ ეტანებოდა, უფრო მხნე, ღონიერი, ჯანსაღი და ენერგიით აღსავსე ადამიანები ცხოვრობდენ... არაფერი არაა ისე მავნებელი, როგორც ყოფა იმ ცნებათა, რომელთაც ბუნებისმეტყველება გვაძლევს. ამის მეოხებით მრავალი ადამიანი ვერას ხედავს თავის ცხოვრების გარეშე... ძველად წინასწარმეტყველებს ჰქონდავდენ ვით, დღეს კი მათი ბედი ბუნებისმეტყველების საბუთებს ხვდათ... ეს ბუნებისმეტყველება კი გვიკარნახებს წმინდა ჰაერის აუცილებელს საჭიროებას. ამას კი ქალაქის მცხოვრებნი და მათი ახალთაობა მოკლებული არიან.. ხშირად ხდება, რომ ბავშვები ზამთარ ზაფხულში ერთთავად ქალაქებში ცხოვრობენ და მის წამხდარი ჰაერით იწამლებიან... მათს სხეულში მოძრაობს გაუწმენდავი სისხლი, ათასგვარ სნეულების აღმძვრელი ნაწილაკებით სავსე. ეს გარემოება უდროოდ აუძლურებს მათს ჯანს. მათი ნერვები ვერ იკვებებიან წესიერად: სისხლი არ აწოდებს საჭირო მასაზრდოებელს მასალას. ვისაც საღი სისხლი აქვს, მას საღი ნერვებიც აქვს!!. მთელი მისი სულიერი განწყობილება წესიერია. საღი პედაგოგიური პრინციპები, რომელნიც დასავლეთ ევროპაში შემუშავდა, ჯანის სისაღის გასამტკიცებლად გვიმოძღვრებს, რომ მოწაფეებს, განსაკუთრებით ქალაქებში, ვასწავლოთ გიმნასტიკური ვარჯიშობანი, ხელოსნობა, და ამასგარდა სხვადასხვა საქმიერობითი საგნები გავაცნოთ. თანამედროვე რუს პედაგოგთა შორის ამ ფრიად სასარგებლო აზრს ბევრი მიემხრო და მათ შორის პირველი ადგილი ჩვენის ფიქრით, უჭირავს კავკასიის ოლქის ხელმძღვანელს ნ. ფ. რუდოლფს. იმავე დასავლეთ ევროპაში კარგა ხანია შემოიღეს „სკოლა ჰაერზე", რომელშიც სწავლება მთელის წლის განმავლობაში სწარმოებს. აქ არც დრო და არც ადგილი ნებას არ გვაძლევს ვრცლად შევეხოთ ამ საკითხს, რომელიც ჯერხანად უცნობია ქართული საზოგადოებისათვის.

ერთ ახალ დაწესებულებათაგანად ითვლება „სკოლა ტყეში" ანუ „ტყიური სკოლა" სუსტი ბავშვებისათვის. ასეთი სკოლა საქართველოში გაიხსნა 1914 წელს. კარგა ხანია სახალხო მასწავლებლად ნამსახური, აწ თფილისის უმაღლესი დაწყებითი სასწავლებლის მასწავლებელი ზ. გ. არჯევანიძე, იმერეთის შვილი, გატაცებული იყო ტყიური სკოლის დაარსების აზრით. ამ მიზნით მოიარა საქართველოს მრავალი კუთხე, რადგან შესაფერს ტყეს ეძებდა. ბოლოს მისი არჩევანი ბაკურიანის რკინის გზის ტოტზე მდებარე წაღვერზე შეჩერდა. ადგილი სკოლისთვის ფრიად შესაფერია. შავი ზღვის დონეზე წაღვერი 537 საჟნით მაღლაა. ეს სიმაღლე შესაფერია ადამიანის სხეულის ყოველგვარი მდგომარეობისთვის, რადგან ის საშუალო სიმაღლეა. წაღვერში ზ. არჯევანიძემ ააშენა სკოლა პანსიონით და საბავშო ბაღით 1914 წელში. მაში მიიღებიან სუსტი აგებულობის ბავშები ორივე სქესისა 6—12 წლამდის. სკოლას გარს არტყია ფიჭნარი, რომლის მიერ გავრცელებული სურნელება ფრიად სასარგებლოდ ცნობილია ფილტვების სისაღისათვის. სკოლა საზაფხულოა. სკოლის მიზანია არათუ მხოლოდ შესაფერი ცოდნის მიწოდება ბავშვებისათვის, არამედ მათი გაჯანსაღება. უკანასკნელი მიზნის მისაღწევად შემდეგი საშუალებანი აქვს სკოლას: საღი ჰაერი ფიჭნარში, ჰიგიენური სმა-ჭამა, ბოსტანში მუშაობა, მოგზაურობანი, მდინარეში ბანაობა, გიმნასტიკა, მოძრავი სათამაშოები, სიმღერა და თამაშობა, ხატვა, ფრინველებისა და პირუტყვების მოვლა. თვიური ფასი შედარებით მცირეა, სულ 50 მანეთი. ამას გარდა ბავშები, სურვილისამებრ, იქ სასკოლო საგნებსაც სწავლობენ გამოცდილ მასწავლებელთა ხელმძღვანელობით.

(დასასრული ხვალ).

**ილია ფერაძე.**

## დაბა-სოფელი.

**სოფ. ნოჯიხევი** (ზუგდიდის მაზრა). ისეთი უნუგეშო მდგომარეობა, როგორსაც ახლა განიცდის ს. ნოჯიხევი და მის გარშემო მახლობლათ მდებარე სოფლები არ ახსოვთ ღრმად მოხუცებულებს. 1914 წლის გამუდმებულმა წვიმამ და წყალდიდობამ სრულიად მოსპო ჰირნახული და შიმშილობისაგან გამოწვეული უბედურება მოაყენა კარზე ნოჯიხეველებს. ოჯახის მარჩენელი მუშა ომშია გაწვეული, როგორც საზოგადოთ სხვაგან, შინიდან გატანილ საქონელს, აგრეთვე პირუტყვს, ჩალის ფასად ვერსად ასაღებს მშრომელი გლეხი. და მისთვის აუცილებელი საჭიროების დამაკმაყოფილებელი საგნები მამასისხლად ფასობს; მაგალითად ფუთი მარილი ოთხ აბაზ ნახევარ—მანეთად; ფუთი სიმინდი ექვსი აბაზიდან—მანეთად და 6 შაურათ, დანარჩენს ოჯახისთვის აუცილებელს საქონელს ხუთჯერ მეტ ფასადაც ვერ შოულობს. სოფლელი მუშა ხალხი დიდი მოთმინების მქონეა, ბევრნაირი ჭირ-ვარამი გადაუტანია და უფრო მეტის ატანას შეძლებდა, მაგრამ ყველაფერს თავის საზღვარი აქვს, და კარზე მომდგარმა შიმშილობამ საზღვარს გადააცილა, რამაც გლეხი სასოწარკვეთილებაში ჩააგდო.

როგორც ზევით ვსთქვით, ჩვენი ხალხი ბევრნაირ უბედურების ამტანია, მაგრამ ისიც უნდა ვსთქვა, რომ ჩვენი ხალხი ისეთი თავმოყვარეობის მქონეა, რანაირსაც იშვიათად შეხვდებით. სხვაგან მაგალითად, მას შიმშილით კუჭი რომ ეწოდეს ქუჩაში ვერ გამოვა და მოწყალებისათვის ხელს არავის გაუშვერს, ცოლშვილი რომ შიმშილით ეხოცებოდეს არავის შეუვარდება სახლში ლუკმა პურის გამოსართმევად მუქთად. ამის მაგალითები გამოვცადეთ. ვართ გამგონე იმისა რომ უფროსი წევრი, რომელზეც დამოკიდებულია მთელი თვისი ოჯახის გამოკვება და შენახვა, მიდის თავის დასახჩობად, უნდა გამოესალმოს წუთისოფელს არა იმიტომ, რომ მან დააღწიოს თავის აუტანელს მდგომარეობას, არამედ იმიტომ, რომ მან თავის საკუთარის თვალით არ ნახოს, თუ როგორ გამწარებაში არის თავისი ცოლშვილი. ამისთანა პირები ბევრი გადაარჩინეს ნოჯიხეველებმა და ხორგელებმა.

საზოგადოებებს (გლეხობას) აქვს თავის საკუთარი საკვებავი თანხა (продовольственный капиталъ). ყოველწლიურად იხდის თითოეული გლეხის ოჯახი ორ-ორ აბაზს. ეს თანხა უნდა მოხმარდეს გლეხის ოჯახს შიმშილობის დროს. დანიშნულება ამისი ასეთია.

გუბერნატორმა ცირკულიარით აცნობა მაზრის უფროსებს და მომრიგებელ შუამავლებს შემდეგი: რადგანაც 1914 წლის გამუდმებული წვიმებისა და ნიაღვრის გამო მოსავალი სიმიდისა იმდენად ნაკლები მოსულა ზოგიერთ ადგილებში, რომ მშრომელ გლეხს არ მოეძევება სიმიდი როგორც გამოსაკვებად, ისე სათესლეთ, დაუყონებლივ მოახდინეთ ადგილობრივ შესაფერი გამოძიებაო, ამოარჩიეთ ყოველ თითოეულ ათ ოჯახიდან ერთი საიმედო პირი და იმათი საშუალებით შეადგინეთ სია იმ გაჭირვებულ პირთა, რომელთაც არა აქვსთ არც სიმიდი, არც ფული და არც ისეთი საშუალება, რომ მან შესძლოს დაუხმარებლად ოჯახის შენახვაო. სიების შედგენა დაიწყო ს. ნოჯიხევში 25 ნოემბრიდან, ხორგაში კი უფრო ადრე. რამდენი შრომა მიუძღვის საზოგადოებას ამ საქმეში, ვინ მოსთვლის, რამდენჯერ გამოაცვლევინეს სიები, განაჩენები. საშობოდ წარდგენილ იქნა ყველა სიები საგუბერნიო სამართველოში, მაგრამ, რადგანაც, მთავრობის აზრით, შიმშილობა შესაძლებელია მხოლოდ პირველ აგვისტომდი და მერე კი ხალხს შეუძლია ირჩინოს თავი ახალი მოსავლით, სიები უკანონოდ იცნეს და ისევ დააბრუნეს გასასწორებლად. სიები ისევ დაუბრუნდა საზოგადოებას 15—16 იანვარს. ხელ ახლად იქნა შესწორებული და ზუგდიდში შემდგარმა კომიტეტმა ძლივს მოასწრო წარდგენა თებერვლის დამლევს. მარტში გამოიგზავნა ნებართვა, რომ დაურიგდეს თითოეულ საზოგადოებას თავისი საკუთარი თანხა, რომელიც ინახება თფილისის სახელმწიფო ბანკში.

საზოგადოების თანხა იმდენად მცირეა, რომ მას არ შეუძლია დააკმაყოფილოს მეთედი ნაწილი გაჭირვებისა და გვაქვს მხოლოდ დაპირება, რომ ახლო მომავალში კიდევ გამოიგზავნება საერთო სამეფო თანხიდან დანარჩენი საჭირო თანხაო. პრიგოვორებით ამოირჩიეს თითოეული სოფლიდან ორ ორი კეთილსინდისიერი პირი რომელთაც უნდა დაურიგონ საზოგადოებას გამოგზავნილი დახმარება ფულად. ჯერ არსაიდან არ აღმოუჩენიათ არავითარი დახმარება სოფლის გლეხობისთვის და დღე დღეზე ელის ცის მანანასავით აღთქმულ დახმარებას.

ყველა იმ უბედურების აწერა, რაც ახლა ნოჯიხევსა და მის ახლო მახლო სოფლებში ტრიალებს კალმით შეუძლებელია. სოფელი დამშეულია და შიმშილობა გამოწვეულია არა გლეხობის სიზარმაცით და დაუდევრობით, არამედ ბუნების უბედურ მოვლენით. შინაური პირუტყვებისთვისაც არაა საკვები და თუ ვისმე მოეძევება, იგიც უვარგისია, პირუტყვი დასუსტებული და დაავადმყოფებულია.

სოფელი განსაცდელშია, სოფელს დახმარება ეჭირვება.

მოვუწოდებ ყველა სოფლისთვის გულშემატკივარს დახმარება გაუწიონ, რითაც კი შეეძლებათ. **ბესარიონი.**

## წერილები რედაქციის მიმართ.

**ბ-ნო რედაქტორო!**

თქვენს პატივცემულს „სამშობლოში" (№ 27) არის მოთავსებული პორუჩიკი კონსტანტინე ბაქრაძის წერილი, რომელიც მაიძულებს ვთქვა ორიოდე სიტყვა საპასუხოთ

ბ-ნ ბაქრაძეს უკვირს, რატომ „ახალი ივერიის" მემატიანემ ჩვენი საქმე საინტერესოთ ჩათვალა. მართლაც რომ გაზეთის თანამშრომელი აქ დანაშაული იყოს, მის მაგიერ მე, რასაკვირველია, პასუხს არ ვაგებ. მას საქმე საყურადღებოთ მიუღია და მკითხველებისათვის რამოდენიმე ცნობა მიუწოდებია,—ამაში, რა თქმა უნდა, მე ბრალდებული არა ვარ. მაგრამ ისიც უნდა მოვახსენოთ ბ-ნ ბაქრაძეს, რომ ჩვენი საქმე მართლა „საგულისხმოა", მართლა იმისთანა საქმეა, რომელიც ქუთაისის საზოგადოებაში ებათ აღებულია.

— გაიგონე?—ეკითხება ერთი მეორეს: იოსებ ბაქრაძის შვილს, კონსტანტინე ბაქრაძეს, სასამართლოში საჩივარი შეუტანია - ვითომც სიმონ თევდორაძეს ემართოს ერთი ვექსილით ოცი ათასი მანეთი. ეს ვექსილი ვითომც სიმონ თევდორაძეს კონსტანტინე ბაქრაძის მეუღლისთვის, უკვე გარდაცვალებულისთვის, მიუცია.

აი, ამ საქმემ ამისთანა განცვიფრებაში შეიყვანა ჩვენი საზოგადოება.

და გასაკვირველი არაა?! ქუთაისში თქვენც გიცნობენ, ბატონო ბაქრაძევ, და მეც. თქვენი ქონებრივი შეძლებაც იციან და ჩემიც. ჯერეთაც არ დაგვიწყებიათ, რომ თქვენ ვალები დაგედვათ და იმ ვალების დასაკმაყოფილებლათ თქვენი მეუღლის მამულები დაყიდეთ. ქვეყანამ იცის, რომ ამით თქვენი განსვენებული მეუღლე დიდ ზნეობრივ და ქონებრივ განსაცდელში ჩააგდეთ. რატომ მაშინ არ მიჩივლეთ ოცი ათასი მანეთი?! ხომ იცით, რომ ამისთანა ფულების გადახდა ჩემს მამულს კი შეუძლია! მიბრძანეთ, რათ უყურებდით ვექსილის უკანასკნელ ვადას? ვექსილი ვითომ დაწერილა 16 აგვისტოს 1909 წელსა, საჩივარი კი განაცხადეთ 16 აგვისტოს 1914 წელსა. ერთი დღე რომ გადაგეცილათ, ვექსილი სრულიათ გაუქმდებოდა.

საყვედურობთ, რომ მე სიყალბე ვექსილის გავაცხადე მაშინ, როდესაც თქვენ ომში ბრძანდებით და ეგება ცოცხალიც ვერ დაბრუნდეთ. ვისი ბრალია ეს? რასაკვირველია, თქვენი! აბა ამიხსენით, რას უცდიდით, რომ საჩივარი არ დაიწყეთ, მანამ ომში არ გაგიწვიეს! ჩემი რა ბრალია აქ: მე მაშინ ვაღვიარე ყალბათ ყალბი ვექსილი, როდესაც თქვენ საჩივარი დაიწყეთ

დასასრულ, მივაქცევ თქვენს ყურადღებას ერთ გარემოებას. როდესაც თქვენი მეუღლე გარდაიცვალა, თქვენ სია შეადგინეთ სასამართლოს ბოქაულის შემწეობით, ყოველივე იმ ქონებათა, რომელიც დარჩა თქვენს მეუღლეს. ამ სიაში ასი და ორას მანეთის ვექსილიც კი არის მოხსენებული. ამიხსენით, როგორ დაგავიწყდათ დროზე ამ ოციათასი მანეთის ვექსილის შეტანა ამ სიაში?

ვსწერ ამას იმიტომ კი არა, რომ, როგორც თქვენ ამბობთ, „ნიადაგი მოვამზადო". როცა საქმე ირჩევა ვექსილის სიყალბეზე, იქ გაზეთში ლაპარაკი არ კმარა: დასამტკიცებელი საბუთი არის საჭირო. ეს მე კარგათ ვიცი.

ქუთაისის მოქალაქე **სიმონ იაკობის ძე თევდორაძე.**


ქალაქის თეატრი

სადღესასწაულო რეპერტუარი.

ქართველ მსახიობთა ამხანაგობის მიერ ორშაბათს, 23 მარტს

წარმოდგ. იქნება

**ჰამლეტი**

ტრაგედია შექსპირისა. ჰამლეტის როლს შეასრ. ვ. ზარდალიშვილი.

ოთხშაბათს, 25 მარტს პირველად ახალი პიესა ჰაუპტმანისა

**დაძირული ზარი**

ხუთშაბათს, 26 მარტს, **ყაჩაღები** ტრაგედია შილლერისა.

ბილეთები ყველა გამოცხადებულ წარმოდგ. დღეიდან იყიდება მხოლოდ თეატრის კასაში, რომელიც ღიაა დილის 11 საათ. 3-ს ნახევრამდის და საღამოს 5—8 საათ.

**დასაწყისი საღამოს 8 საათზე** რეჟისორი კ. ანდრონიკაშვილი.

ადმინისტრატორი ვასო ურუშაძე. **ადგილების ფასი ჩვეულებრივია.**

**სკოლა ტყეში**

537 საჟ. ზღვის ნაპირ. **ზ. გ. არჯევანიძისა** საზაფხულო მეორე.

გამართულია საზაფხულო სკოლა პანსიონით და საყმაწვილო ბაღით 6—12 წლის ჯანით სუსტი ბავშვებისათვის **ფიჭნარში**, სოფ. წაღვერში (დიდი მთავრის ბორჯომის მამულში). **1915 წლის სეზონი გაიხსნება 1 მაისს.** ბავშვების ჩაწერა საჭიროა ამთავით. მსურველთ ცნობები გაეგზავნება უფასოთ.

თფილისი, მალაკნების ქ., 27; პირადათ საღ. 4—6 საათზე. ქუთაისში დაწვრილებით ამბის გაგება შეიძლება მეორე უმაღლეს პ.—დ. სასწავლებლის მასწ. კ. ჯუღელთან. ზაფხულობით: Цагвери, мѣстная школа. 4—1. № 117.

დაიბეჭდა და თ. მთავრიშვილის წიგნის მაღაზიას მოუვიდა გასაყიდათ

ნ. ს. **ჯორჯიკიას** შემდეგი რუსული წიგნი:

„Критика психологической теорiи права"

Проф. Л. І. Петрожецкаго. ფასი 6 შაური თ.

**ამერიკული მწარე ვაზი (*rupestris*)**

მშრალ მიწაზე გაზდილი, იყიდება ზომიერ ფასათ, იკითხეთ კ. ოცხელის წიგნის მაღაზიაში ქუთაისში. თ.

**თ. ა. მთავრიშვილის და ამხ. წიგნის** **აქვე იყიდება საწყობი შემდეგი წიგნებისა.**

**მაღაზიის საკუთარი გამოცემანი**

1) ნ. ნიკოლაძე. მამულის სიყვარული და მსახურება. . 20 კაპ.
2) დ. კარიჭაშვილი. ხუცური ანბანი, მეორე გამოც. . 20 კაპ.
3) მღ. პ. ცქიტიშვილი. ლოცვანი, პირველდაწყებითი სკოლებისათვის ფ. 10 კ., ყდით . . 15 კაპ.
4) ქართ. მოძრავი ანბ. ქაღ. 10 კაპ. „იგივე, კარდონზე გაკრული 25 კაპ. „იგივე ორ და სამ-კომპლექ. 50 კაპ.
5) ს. ყიფიანი, შაქარას ნაამბ. 3 კაპ.
6) Архим. Несторъ. Учебникъ Закона божiя . . 20 კ.
7) ს. გორგაძე საქართვ. ისტორია ნ. I ისტორიული ქარტით., მეორე გამოცემა . , . 35 კაპ.
8 ალ. გარსევანიშვილის თხზულება
9) „Поэтъ Грузiи Акакiй" 10 კ.
10) ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია.

1) გუთანი, ოჯახსა და სკოლებში საკით. წიგ. შედ. ი. ოცხელისა. თ. მთავრიშვილისა და ს. ყიფ. მიერ, სურ., მესამე გამ., ყდით 85 კ.
2) ს. ხუნდაძე. ქარ. გრამატიკა პირველდაწყ. შკოლებ. ყდით 20 კ.
3) ს. რობაქიძე. სამშობლოს აღწერა, საქართ. გეოგრაფიის სახელმძღვანელო, ყდით . 50 კ.
4) არქ. ნესტორი (ყუბანეიშვილი) პირველდაწყებ. დარიგება საღვთო სჯულის სწავლებაზე . 30 კ.
5) ა. ხახანაშვილი. ბატონ-ყმობა საქართველოში . 50 კ.
6) კ. აბაშიძე. ეტიუდები მე XIX ს. ქ. ლიტერატურა შესახებ ტ. I. 70 კ.
7) მისივე. იგივე ტ. II.. 70 კ.
8) ი. შექსპირი. ოტელო, ჰამლეტი და მეფე ციმბელინი ყრმათათვის ნათარგმნი ს. ყიფიანისა . 20 კ.
9) მღ. ა. გერსამია. ლოცვანი, ფ. 10 კ., . . 15 კ.
10) ა. ჭიჭინაძე. პირველდაწყ. ცოდნა გეოგრაფიისა ფ. 50 კ., ყ. 60 კ.
11) ნ. ნიკ ჩემ პოლიტიკაზე 10 კ.

**რუსული და ქართული კატალოგები მსურველთ უფასოთ ეგზავნებათ.**

სპეციალური სახელოსნო

**პარმენ ამაღლობელის**

(ქუთაისი, ქარვასლის ქუჩა).



**ფეხსაცმელები ევრ. და აზიური,** როგორც კაცის, ისე ქალის. სახლში სახმარებელი ჩუსტები კაცის, ქალის და ბავშვების რუსული და ბუხრის ქუდები საუკეთესო კარაკულისა.



**ფასები სხვებთან შედარებით დაკლებულია.**

მმ. **ქორქოლაძის** მაღაზიაში

ქუთაისში, მიხეილის ქუჩა, საკუთ. სახლი.

**მიღებულია** **საპნის საკეთებელი სოდა გორჯომის წყალი.** საუკეთესო ფირმების სხვადასხვა ცნობილი **აბრეშუმის თესლი.**

**ვენახის ასაკრავი -რაფია „ვერმორელის" ქარხნის სარწყავი მანქანები.**

და მისი ყოველივე ნაწილები, აგრეთვე ყოველგვარი ბაკალიური საქონლები.

**ფასები ზომიერია.**

**გამოვიდა და იყიდება**

**ქუთაისის ყველა წიგნის მაღაზიაში**

თხზულებანი ჯაჯუ ჯორჯიკიასი.

ფასი 60 კაპ. წ.